

**ქართულის, როგორც მეორე ენის, საგამოცდო პროგრამა
(მე-10 კლასი)**

მე-10 კლასის საგამოცდო პროგრამა ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ ქართულის, როგორც მეორე ენის, საგნობრივ პროგრამას.

**საგამოცდო პროგრამის ენობრივი საკითხების ჩამონათვალი
ლექსიკა:**

- სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიზმები;
- სიტყვაწარმოება.

მორფოლოგია:

1. არსებითი სახელი:

- *ჯგუფები;*
- *ბრუნება; კუმშვა, კვეცა;*
- *რიცხვი.*

2. ზედსართავი სახელი:

- *ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად;*
- *ხარისხის ფორმები.*

3. რიცხვითი სახელი:

- *რაოდენობითი, რიგობითი;*
- *ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად.*

4. ნაცვალსახელი:

- *ჯგუფები;*
- *ბრუნება ცალკე და სახელთან ერთად.*

5. ზმნა:

- *პირი და რიცხვი;*
- *დრო; კილო; ასპექტი;*
- *ზმნისწინი;*
- *საწყისი და მიმღეობა.*

6. ზმნიზედა.

7. თანდებული.

8. კავშირი.

9. ნაწილაკი.

სინტაქსი:

1. წინადადების ტიპები:

- *შინაარსის მიხედვით;*
- *აგებულების მიხედვით.*

2. წინადადების წევრები.

3. სინტაქსური ურთიერთობები წინადადების წევრებს შორის.

4. სიტყვათა რიგი წინადადებაში.

5. განკერძოებული სიტყვები: *მიმართვა, ჩართული, დანართი.*

ორთოგრაფია:

1. რთული სიტყვების მართლწერა.

2. ფორმაცვალეზობასა და სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

3. რიცხვით სახელთა მართლწერა.

4. თანდებულიან სახელთა მართლწერა.

5. სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერა.

პუნქტუაცია:

სასვენი ნიშნები მარტივ, ერთგვარწევრებიან და რთულ წინადადებებში.

ტექსტში წარმოდგენილი დავალებები სტანდარტით გათვალისწინებული X დონის შესაბამისი იქნება.

საგამოცდო ტესტი შეამოწმებს:

1. ლექსიკის ცოდნას;
2. გრამატიკის ცოდნას, კონტექსტის შესაბამისი გრამატიკული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენების უნარ-ჩვევებს;
3. სხვადასხვა სახის მხატვრული (*მოთხრობის, ლიტერატურული ზღაპრის...*) და არამხატვრული ტექსტების (*ღია ბარათის, პირადი წერილის, სარეკლამო განცხადების, ბიოგრაფიის...*) წაკითხვისა და გაგების უნარს.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ტექსტში ფაქტობრივი ინფორმაციის (*ფაქტი, მოვლენა, აზრი, მოქმედების დრო, ადგილი და სხვა*) ამოცნობა;
- ტექსტის ავტორის, ადრესატის, თემის, მთავარი სათქმელისა და მიზნის ამოცნობა;
- პერსონაჟთა ქცევის მოტივის ამოცნობა;
- პერსონაჟის ხასიათის წარმოჩენის პირდაპირი (*ავტორისეული*) და არაპირდაპირი (*პერსონაჟის საეციელი, მისი განცდები...*) ხერხების ამოცნობა.
- სათანადო ლოგიკური და ქრონოლოგიური მარკერების (*მაგ. მიზეზშედეგობრივი კონსტრუქციები, პირობითი წინადადებები, დროთა თანამიმდევრობისა და ლოგიკური ურთიერთმიმართების გამომხატველი სიტყვათშეხამებები და სხვა*) ამოცნობა;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედარება მსგავსება-განსხვავების დადგენის მიზნით;
- ტექსტის ნაწილებს შორის ლოგიკური და ქრონოლოგიური კავშირების დადგენა;
- ნათქვამის მოდალობის (*შეკითხვის, თხოვნის, რჩევის, ბრძანების*) გარჩევა;
- ფაქტის, ვარაუდისა და თვალსაზრისის ერთმანეთისაგან გარჩევა;
- სხვადასხვა სახის ტექსტის სტილური და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა;
- შესწავლილი ლექსიკური ერთეულების, გრამატიკული ფორმების, სინტაქსური კონსტრუქციების სწორად შერჩევა კონტექსტის გათვალისწინებით;
- ძირითადი ორთოგრაფიული ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა.